დოქტორი ფერნანდო ლეონ გარსია

დოქტორი ლეონ გარსია არის „უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის“ (IAUP) პრეზიდენტი (2021-2024).

ლეონ-გარსიას მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი განათლების ადმინისტრირებასა და პოლიტიკის ანალიზში, მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო განვითარების განათლებაში სტენფორდის უნივერსიტეტისგან, ხოლო ბაკალავრის ხარისხი სამრეწველო ინჟინერიაში სეტისის უნივერსიტეტისგან (CETYS University, Mexico). ლეონ-გარსია 2019-2021 წლებში გახლდათ მექსიკის ტოპ 300 ლიდერთა (Los 300) სიაში.

დოქტორი გარსია 2010 წლიდან ასევე არის ცეტისის, მექსიკაში ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალიზებული უნივერსიტეტის პრეზიდენტი, რომელიც მისი საქმიანობით უძღვება უნივერსიტეტის აკრედიტაციის პროცესს აშშ-ში (WASC, ACBSP, ABET). დოქტორი გარსია გახლდათ სიეტლის სითი უნივერსიტეტის (City University of Seattle) საერთაშორისო დეპარტამენტის კანცლერი, რომელიც მოიცავდა ამერიკის, ევროპისა და აზიის რეგიონებს. სხვადასხვა დროს, დოქტორი გარსია მუშაობდა შემდეგ მმართველ საბჭოებსა და საკონსულტაციო ჯგუფებში:

- განათლების ამერიკული საბჭოს ინტერნაციონალიზაციისა და გლობალური ჩართულობის კომისია;
- მმართველი საბჭოების ასოციაციის პრეზიდენტების საბჭო;
- სკოლებისა და კოლეჯების დასავლური ასოციაცია;
- განათლების განვითარებისა და მხარდაჭერის საბჭო;
- მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია (NAFSA);
- კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ესპანური ასოციაცია;
- სანტანდერის უნივერსიტეტები- მექსიკა;
- კონსორციუმი ჩრდილოეთ ამერიკის უმაღლესი განათლების თანამშრომლობისთვის.